



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამბაკიძე“

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა შეყილაძე

9. 

27 აპრილი 2021 წელი
N 33/36

ეგზ. N1

ა(ა)იპ – საქართველოს ჭიდაობის ეროვნული
ფედერაციის 2017-2019 წლების
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	4
	1. შესავალი	5
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	6
	აუდიტის მიზანი	7
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	2. აუდიტის მიგნებები	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2.1 შესყიდვები	11
	2.2 შრომის ანაზღაურება	19
	2.5 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები	20

ტერმინები და შემოკლებები

ფედერაცია – ა(ა)იპ – საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია.

UWW – ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანება.

ფედერაციის წესდება – ა(ა)იპ – საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის წესდება.

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

შრომის კოდექსი – საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“.

ანგარიშსწორების წესი – „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება.

დაფინანსების წესი – „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 10 მაისის N03/172 და 2019 წლის 23 იანვრის N69 ბრძანებები.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ა(ა)იპ – საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2017-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

შესყიდვები

ფედერაციის მიერ სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა რიგ შემთხვევებში ხდებოდა ბაზრის კვლევის და შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის/შეფასების გარეშე. სპორტსმენთა ტექნიკური, ტაქტიკური და ფუნქციონალური დონის ამაღლების მიზნით ჩატარებულ შეკრებებზე, ბიუჯეტიდან გამოყოფილი 7,958,212 ლარიდან, 3,096,497 ლარი გადახდილია ბაზრის კვლევის გარეშე შერჩეულ, ქ. ბორჯომში, სასტუმრო-სპორტულ კომპლექს „ოლიმპის“ ბაზაზე განხორციელებულ შეკრებებზე გაწეული მომსახურებისათვის.

სასტუმრო მომსახურებაზე მიმწოდებელ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დაუსაბუთებელია მომსახურების ერთეულის ღირებულებები; არ არის გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმი, არ არის შეთანხმებული მენიუ და მისი ღირებულება.

ხშირად შეკრებებში მონაწილე სპორტსმენების მიერ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული არ არის. 2017-2019 წლებში შეკრებებზე სპორტსმენების ფაქტობრივად ყოფნის დღეებიდან გამომდინარე, ზედმეტად გადახდილმა სასტუმრო მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 33,235 ლარი.

2017-2019 წლებში 10 სხვადასხვა კომპანიისგან შესყიდული 2,703,621 ლარის ღირებულების ავიაბილეთებიდან, 1,232,267 ლარის ბილეთები ბაზრის კვლევის გარეშე შესყიდულია დაფუძნებამდე რამდენიმე დღით ადრე, შპს „თავჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. არის შემთხვევები, როდესაც ფედერაციის მიერ მომსახურე კომპანიებისგან შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებები არსებითად განსხვავდება სხვა ორგანიზაციების მიერ ანალოგიურ პერიოდში ამავე მიმართულებით შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებებისგან.

მედიკამენტები და საკვები დანამატები

მედიკამენტებისა და საკვები დანამატების საჭიროების განსაზღვრისა და ხარჯვის პროცესში არ არსებობს კონტროლის მექანიზმები, რაც წარმოშობს სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს, კერძოდ:

-)/ შესასყიდი მედიკამენტებისა და დანამატების მოცულობა, ასევე ნომენკლატურული სტრუქტურა შესაბამისი პროფილის სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე არ არის განსაზღვრული;
-)/ მოჭიდავეთა ფიზიკური მონაცემების და ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე არ არის დადგენილი საკვები დანამატებისა და მედიკამენტების ხარჯვის/გამოყენების ნორმები;
-)/ მოჭიდავეებზე მედიკამენტებისა და დანამატების გაცემის ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება;
-)/ ხშირად მედიკამენტები და საკვები დანამატები ჩამოიწერება არა საწვრთნელი შეკრების დასრულების შემდეგ, ფაქტობრივი ხარჯვიდან გამომდინარე, არამედ შეკრებამდე, მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ზედდებულის საფუძველზე. ამასთანავე, სრულად მიმდინარეობს წლის

განმავლობაში შესყიდული მედიკამენტების და საკვები დანამატების ჩამოწერა და წლის ბოლოს ფაქტობრივი ნაშთი არ ფიქსირდება;

-) შემთხვევების არსებითი ნაწილის მიხედვით ჩამოწერა დადასტურებულია არა გუნდის ექიმის, არამედ კომპეტენციის თვალსაზრისით არაუფლებამოსილი პირების (მწვრთნელისა და მენეჯერის) მიერ.

შრომის ანაზღაურება

სპორტსმენების მიერ წლის განმავლობაში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, ბიუჯეტიდან პრემიებისა და ფულადი ჯილდოს სახით გამოყოფილი ფულადი თანხები ადმინისტრაციულ პერსონალზე არ არის განაწილებული გამჭვირვალედ. არის შემთხვევები, როდესაც პრემიები გაცემულია ფედერაციაში რამდენიმე თვის სამუშაო სტაჟის მქონე პიროვნებებზე.

შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

ფედერაციაში დანერგილი კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილე უცხოელ სტუმართა რეგისტრაციის, მათ მიერ გადახდილი სასტუმრო მომსახურების ღირებულების, მისაღები შემოსავლის (სარგებლის სახით) სისრულის და უცხოელ სტუმრებზე გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობის შესახებ სარწმუნოებას.

შესამოწმებელ პერიოდში წესდებით გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არ განხორციელებულა ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება-განხილვა. ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია ჩატარდა არასრულყოფილად, კერძოდ, შემოწმდა მხოლოდ მატერიალურ ფასეულობათა ფაქტობრივი აღწერები, სააღრიცხვო მონაცემებთან შედარების გარეშე.

რეკომენდაციები

ფედერაციას:

რეკომენდაცია N1

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიურობის პრინციპების დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ალტერნატიული შეთავაზების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ხელს შეუწყობს საბაზრო პირობების შესაბამისი საკონტრაქტო ფასების ჩამოყალიბებას.

შესაბამისი ექსპერტული დასკვნების საფუძველზე განისაზღვროს მედიკამენტების და საკვები დანამატების ნორმები და რელევანტური კონტროლის მექანიზმების დანერგვით მიღწეულ იქნეს მათი მიზნობრივი ხარჯვა.

დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ფაქტობრივი მომსახურების დღეებიდან გამომდინარე ანაზღაურებას.

შეკრებებზე სასტუმრო მომსახურების სახით ზედმეტად გადახდილი 32,235 ლარი დაბრუნებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

რეკომენდაცია N2

შრომის ანაზღაურების პროცესში თანაბარი მიდგომის უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს ფულადი ჯილდოს და პრემიის გაცემის წესი, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნებისათვის ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები.

რეკომენდაცია N3

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირების ორგანიზების პირობებში უზრუნველყოფს უცხოელი სტუმრების რეგისტრაციას, სარგებლის სახით მიღებული შემოსავლების სისრულეს და სასტუმრო მომსახურების ხარისხის შესაბამისობას.

რეკომენდაცია N4

კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით განხორციელდეს აქტივების ინვენტარიზაცია და მისი შედეგების შეფასების საფუძველზე, მიღწეულ იქნეს მათი ეფექტიანი მართვა.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	ფედერაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.
აუდიტორის პასუხისმგებლობა	აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ა(ა)იპ – საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ 2017-2019 წლებში განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტის ანგარიშში არ არის საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტია. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ, მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.
აუდიტის საგანი	აუდიტის საგნად განისაზღვრა ა(ა)იპ – საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან.
აუდიტის მასშტაბი	აუდიტმა მოიცვა ფედერაციის მიერ 2017-2019 წლებში განხორციელებული საქმიანობა.
აუდიტის კრიტერიუმები	აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები: ┐ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“; ┐ საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“; ┐ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

- ს) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
- ს) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ს) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 10 მაისის N03/172 ბრძანება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ს) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N69 ბრძანება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ს) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N86 ბრძანებით დამტკიცებული „ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა“;
- ს) საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 5 აპრილის N10 დადგენილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“;
- ს) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 26 ივნისის ბრძანება N5-9;
- ს) ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ს) ა(ა)იპ – საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის წესდება.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
-)/ მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
-)/ აღნიშნულ სფეროში არსებული კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
-)/ მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).

2. აუდიტის მიგნებები

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ


ა(ა)იპ – საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანებისა (UWW) და ფედერაციის წესდებების შესაბამისად. მისი საქმიანობის ძირითადი მიზნებია: ქვეყანაში ჭიდაობის განვითარება-პოპულარიზაცია, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტსმენთა მომზადების სისტემის სრულყოფა, პროფესიონალ სპორტსმენთა მომზადება, საქართველოს ნაკრები გუნდების წარმატებით გამოსვლის უზრუნველყოფა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, აგრეთვე საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში.

წესდების თანახმად, ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოებია: ყრილობა, პრეზიდიუმი და სამეთვალყურეო საბჭო. ყრილობებს შორის ფედერაციის საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს ფედერაციის პრეზიდიუმი. პრეზიდენტი არის ფედერაციის უმაღლესი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი პირი.

2017-2019 წლებში ფედერაციის ეგიდით ჩატარებულია სულ 412 საერთაშორისო და ადგილობრივი სპორტული ღონისძიება/ტურნირი.

2017-2019 წლებში ფედერაციის შემოსავლებმა შეადგინა 20,497,172 ლარი,¹ მათ შორის, საბიუჯეტო დაფინანსება – 20,061,101 ლარი, საკუთარი შემოსავლები – 436,071 ლარი.²

დიაგრამა N1. ინფორმაცია 2017-2019 წლებში მიღებული დაფინანსების შესახებ




ფედერაციის საბიუჯეტო დაფინანსება ხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში:

¹ აქედან, 2017 წელს – 5,289,838 ლარი, 2018 წელს – 7,063,473 ლარი და 2019 წელს – 8,143,860 ლარი.

² აქედან, საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციების მიერ გადახდილი თანხებიდან მიღებული სარგებელი – 302,806 ლარი.

დიაგრამა N2. ინფორმაცია სხვადასხვა პროგრამიდან მიღებული დაფინანსების შესახებ



ამავე პერიოდში ფედერაციის ხარჯებმა შეადგინა 21,264,727 ლარი.³ აქედან, სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები – 17,777,534 ლარი⁴ და ფედერაციის მართვასთან დაკავშირებული ხარჯები – 3,487,193 ლარი.

დიაგრამა N3. ინფორმაცია 2017-2019 წლებში გაწეული ხარჯების შესახებ



³ 2017 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთის გათვალისწინებით.

⁴ სპორტული კალენდრით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები.

2.1 შესყიდვები

კრიტერიუმი: ფედერაცია სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული საჯარო ინტერესის რეალიზაციის პირობებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპებს. ამ პრინციპების დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში განხორციელებული, ასევე სხვადასხვა მომსახურებისა და მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი უნდა იყოს ბაზრის კვლევის შედეგები.⁵

2.1.1 სასტუმრო მომსახურების შესყიდვა

ფაქტობრივი გარემოება: სპორტსმენთა ტექნიკური, ტაქტიკური და ფუნქციონალური დონის ამაღლების მიზნით, 2017-2019 წლებში ფედერაციის მიერ ორგანიზებულია სხვადასხვა ეროვნული ნაკრების 188 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება. შეკრებები ძირითადად ჩატარდა ბორჯომში, თიანეთში, ამბროლაურსა და ბაკურიანში მდებარე სპორტულ ბაზებზე. შეკრებები განხორციელდა წინასწარ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში.⁶ ამ მიზნით ჯამურმა დაფინანსებამ შეადგინა 7,958,212 ლარი, საიდანაც მნიშვნელოვანი წილი – 3,096,497 ლარი გადახდილია ქ. ბორჯომში, სასტუმრო – სპორტულ კომპლექს „ოლიმპის“ ბაზაზე განხორციელებულ შეკრებებზე გაწეული მომსახურებისათვის. შეკრებების ორგანიზების ხარჯების დიდი ნაწილი მოდის სასტუმრო მომსახურებაზე, რომლის შესყიდვის პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებს და ამ პროცესის კონტროლის მექანიზმები გამოირჩევა შემდეგი სახის ნაკლოვანებებით:

-) მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები შეირჩა ბაზრის კვლევის და, შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის/ანალიზის გარეშე. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სასტუმრო მომსახურების ერთეულის ღირებულებები;⁷
-) ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმი, არ არის შეთანხმებული მენიუ⁸ და მისი ღირებულება;
-) არის შემთხვევები, როდესაც ბორჯომის სასტუმრო „ოლიმპი“ ერთსა და იმავე პერიოდში, სპორტსმენთა რაოდენობის უცვლელობის პირობებში ჩატარებულ შეკრებებზე გაწეული მომსახურების ტარიფები განსხვავებულია. ამ სხვაობის მიზეზების მტკიცებულებები ან/და არგუმენტები ობიექტის მიერ არ არის წარმოდგენილი.

⁵ „ანგარიშსწორებისა და დაფინანსების წესის შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180, 2018 წლის 10 მაისის N03/172 და 2019 წლის 23 იანვრის N69 ბრძანებები.

⁶ სასტუმროების მომსახურების ფასები ერთ სპორტსმენზე დღეში, საშუალოდ, შეადგენდა 70-120 ლარს.

⁷ დღეში - ერთი სპორტსმენის სასტუმრო მომსახურება სამჯერადი კვებით.

⁸ ერთი კაცის კვების რაციონი ერთი დღის განმავლობაში.

ცხრილი N1 . სასტუმრო მომსახურების ერთეულის ღირებულება (2018 წელი)

ნაკრების დასახელება	პერიოდი	სასტუმროს ღირებულება დღეში
თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნ. ნაკრები	2 - 14 თებერვალი	85
ბერძნულ - რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნ. ნაკრები	6 - 21 თებერვალი	85
ბერძნულ - რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები	1- 14 აპრილი	80
თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები	2 - 14 აპრილი	100
ბერძნულ - რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები	14 - 24 აპრილი	100
ბერძნულ - რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრები	3 - 15 მაისი	80
ბერძნულ - რომაული სტილით 23 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა ნაკრები	19 - 31 მაისი	100

-) არ არსებობს შეკრებების ჩატარების პერიოდულობის, ხანგრძლივობის, მათში მონაწილეთა შემადგენლობის და რაოდენობის დადგენის წესი;
) ხშირად შეკრებებში მონაწილე სპორტსმენების მიერ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მომსახურების მიღება დადასტურებული არ არის გუნდის უფროსი მწვრთნელისა და შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.⁹ ამ პროცესში კონტროლის მექანიზმების სისუსტეს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ შეკრებებზე სპორტსმენების ფაქტობრივად ყოფნის დღეებიდან გამომდინარე, 2017-2019 წლებში ზედმეტად გადახდილმა სასტუმრო მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 32,235 ლარი.¹⁰ აქედან ორ შემთხვევაში, სასტუმრო მომსახურება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილე პირებს.

⁹ შეკრების საქვეანგარიშო პირი.

¹⁰ რაც, ძირითადად, გამოწვეულია შეკრებაზე ჩასვლის და წამოსვლის პერიოდის ორი დღით აღიარებით.

ცხრილი N2. ინფორმაცია 2017-2019 წლებში ზედმეტად ანაზღაურებული სასტუმრო მომსახურების შესახებ

გუნდის დასახელება	შეკრების ადგილი	შეკრების პერიოდი	მონაწილე თა-რა	ზედმე-ტად ანაზღა-ურებუ-ლი დღეებ-ის რ-ბა	მომსახ-ურების ღირებულება დღეში	ზედმე-ტად გადახ-დილი თანხა
თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნ. ნაკრები	ბორჯომი	02.02.17-14.02.17	15	1	85	1 275
თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჯაბუკები	ბორჯომი	03.03.17-16.03.17	45	1	80	3 600
ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდები	ბაკურიანი	07.03.17-18.03.17	30	1	60	1 800
ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჯაბუკები	წყალტუბო	08.08.17-19.08.17	36	1	75	2 700
ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჯაბუკები	ბორჯომი	21.08.17-01.09.17	40	1	75	3 000
თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნ. ნაკრები და 23 წლამდე ასაკის სპორტსმენები	ბორჯომი	09.11.17-13.11.17	2 ¹¹	10	85	850
თავისუფალი სტილით და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჯაბუკები	ბორჯომი	20.09.18-01.10.18	26	1	85	2 210
ბერძნულ-რომაული სტილით 23 წლამდე ასაკის მოჭიდავეები	ბორჯომი	19.05.18-01.06.18	40	1	100	4 000

¹¹ ორი სპორტსმენი 10 დღის განმავლობაში ბორჯომის ნაცვლად იმყოფებოდა რუსეთში, საერთაშორისო ტურნირზე.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნ. ნაკრები და 23 წლამდე ასაკის მოჭიდავეები	ბაკურიანი	01.08.18-16.08.18	40	1	100	4 000
ბერძნულ - რომაული სტილით მოჭიდავე ჯაბუკები	ბორჯომი	21.04.19-02.05.19	46	1	100	4 600
ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჯაბუკები	ბორჯომი	03.06.19-14.06.19	42	1	100	4 200

გაცხადებული ინფორმაციით,¹² ქ. ბორჯომში მდებარე სასტუმრო „ოლიმპი“ არსებული საწოლების რაოდენობა შეადგენს 80 ერთეულს. არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნულ სასტუმროში შეკრებაზე იმყოფება და, შესაბამისად, სასტუმრო მომსახურებას იღებს ერთდროულად რამდენიმე გუნდის 80-ზე მეტი სპორტსმენი, კერძოდ:

ცხრილი N3. ინფორმაცია სასტუმრო მომსახურების შესახებ

პერიოდი	არსებული საწოლების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა (ფაქტობრივი)
25.05.2017 - 28.05.2017	80	121
09.04.2018 - 14.04.2018	80	138
06.09.2018 - 16.09.2018	80	91

სასტუმრო „ოლიმპის“ ოპერატორი ინდ. მეწარმისაგან მიღებულ წერილობით განმარტებაში აღნიშნულია, რომ „სასტუმროში საწოლების რაოდენობა შეადგენს 100 ერთეულს, გამოწვევის შემთხვევებში შესაძლებელია 40 საწოლის დამატება“. აღნიშნული არგუმენტი აუდიტის ჯგუფმა მიიჩნია ნაკლებ სარწმუნოდ, ვინაიდან 40%-ით საწოლების საპასპორტო სიმძლავრის (რაოდენობის) ზრდა იწვევს მომსახურების ხარისხის არსებით გაუარესებას. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მითითებულ შემთხვევებში შეკრებებზე ერთდროულად იმყოფებოდა სხვადასხვა ასაკობრივი ეროვნული ნაკრები. დამატებული საწოლების რაოდენობიდან გამომდინარე, მომსახურების ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელი იყო კონკრეტული, ცალკე აღებული რომელიმე ეროვნული გუნდის საწვრთნელი შეკრება განხორციელებულიყო ალტერნატიულ სპორტულ ბაზაზე.

2.1.2 მედიკამენტების და საკვები დანამატების შესყიდვა

შესამოწმებელ პერიოდში ბაზრის კვლევისა და შესაბამისი ალტერნატიული წინადადებების განხილვის/ანალიზის გარეშე შესყიდულია 377,006 ლარის მედიკამენტები და საკვები დანამატები.

¹² <https://travelinborjomi.ge/ka/hotels/53/olimpi>

მედიკამენტებისა და საკვები დანამატების საჭიროების განსაზღვრისა და ხარჯვის პროცესში არ არსებობს კონტროლის მექანიზმები, რაც წარმოშობს სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს, კერძოდ:

-)/ შესასყიდი მედიკამენტებისა და დანამატების მოცულობის და ნომენკლატურული სტრუქტურის განსაზღვრას საფუძველად არ უდევს შესაბამისი პროფილის სპეციალისტის დასკვნა;
-)/ მოჭიდავეთა ფიზიკური მონაცემების და ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, არ არის დადგენილი საკვები დანამატებისა და მედიკამენტების ხარჯვის/გამოყენების ნორმები;
-)/ მედიკამენტებისა და საკვები დანამატების გაცემა არ ხორციელდება ექიმის დანიშნულების საფუძველზე. მოჭიდავეებზე მედიკამენტებისა და დანამატების გაცემის ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება;
-)/ ხშირ შემთხვევაში, მედიკამენტების და საკვები დანამატების ჩამოწერა ხორციელდება არა საწვრთნელი შეკრების დასრულების შემდეგ, ფაქტობრივი ხარჯვიდან გამომდინარე, არამედ შეკრებამდე, მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ზედდებულის საფუძველზე. ამასთანავე, სრულად ხორციელდება წლის განმავლობაში შესყიდული მედიკამენტების და საკვები დანამატების ჩამოწერა და წლის ბოლოს ფაქტობრივი ნაშთი არ ფიქსირდება;
-)/ შემთხვევების არსებითი ნაწილის მიხედვით, ჩამოწერა დადასტურებულია არა გუნდის ექიმის, არამედ კომპეტენციის თვალსაზრისით არაუფლებამოსილი პირების (მწვრთნელისა და მენეჯერის) მიერ.

2.1.3 სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა

2017-2019 წლებში სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 332,773 ლარი.¹³ მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ბაზრის კვლევის გარეშე. მომსახურების გაწევის დოკუმენტებში ხშირად მითითებული არ არის სატრანსპორტო საშუალებებისა და გადასაზიდი საქონლის დასახელება. არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა პერიოდში, საწვრთნელ შეკრებებზე გადასაზიდი ინვენტარის მოცულობისა და მარშრუტის უცვლელობის პირობებში, ტრანსპორტირების ხარჯი არსებითად განსხვავდება. აღნიშნულ სხვაობებზე ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო დასაბუთება. კერძოდ, ქ. ბორჯომში ჩატარებულ შეკრებებზე საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირებისათვის 2017 წლის იანვარში გადახდილია 875 ლარი, ხოლო 2019 წლის ივლისში – 1,575 ლარი. ბაკურიანში ჩატარებულ შეკრებებზე საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირებისათვის 2017 წლის ივნისში გადახდილია 800 ლარი, ხოლო 2019 წლის სექტემბერში – 1,660 ლარი.

2017 წელს 18,344 ლარის სატრანსპორტო მომსახურება შესყიდულია ფედერაციის მწვრთნელის პოზიციაზე დასაქმებული პირის მიერ. ამავე წელს ფედერაციის გენერალურ მდივანზე სატრანსპორტო მომსახურების სახით გაცემულია სულ 19.778 ლარი, მათ შორის: 3,300 ლარის მომსახურება შესყიდულია უშუალოდ მისგან, ხოლო 15,128 ლარი მის მიერ გაცემულია სხვადასხვა არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე სატრანსპორტო მომსახურების მიზნით, 1,350 ლარზე კი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი. ყველა ამ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის არსებობა


¹³ აქედან, 2017 წელს - 77,009 ლარი, 2018 წელს - 79,015 ლარი და 2019 წელს - 176,769 ლარი.

2.1.4. ავიაბილეთების შესყიდვა

ზრდის არასაბაზრო, მაღალი ფაქტობრივი ფასით მომსახურების შესყიდვის რისკს.

ფედერაციის მიერ საერთაშორისო ტურნირებსა¹⁴ და შეკრებებზე მოჭიდავეთა გამგზავრების მიზნით, 2017-2019 წლებში 10 სხვადასხვა კომპანიისგან შესყიდულია 2,703,621 ლარის ღირებულების ავიაბილეთები.

გრაფიკი N1. ინფორმაცია ავიაბილეთების მიმწოდებელი კომპანიების შესახებ



ავიაბილეთების შესყიდვაზე 2018 წლის 10 იანვარს ერთი წლის ვადით ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ნიუ ლენდ დეველოპმენტთან“.¹⁵ ხელშეკრულების შესაბამისად, მომსახურების ღირებულება უნდა განსაზღვრულიყო შეკვეთის შესასრულებლად მიღების მომენტისათვის, ავიაკომპანიებსა და სხვა ორგანიზაციებში არსებული ტარიფების ფარგლებში. აღნიშნული საკითხის კონტროლის მიზნით, კომპანია ვალდებული იყო ფედერაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიეწოდებინა ინფორმაცია ავიაგადაყვანისა და სხვა სახის მომსახურების, ორგანიზაციის მარშრუტების, ტარიფებისა და არსებული ადგილების შესახებ. ხელშეკრულების ამ პუნქტის შესაბამისად, შესასყიდი ავიაბილეთების ფასების განსაზღვრის შესახებ მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი.

პარალელურად, 2018 წლის 5 მაისს ავიაბილეთების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმდა იმ მომენტისთვის იურიდიულად არაქმედუნარიან და არაუფლებამოსილ ორგანიზაციასთან. აღნიშნულმა ორგანიზაციამ, შპს „თაგ ჯორჯიამ“ სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 2018 წლის 1 ივნისს, შესაბამისად, იურიდიულად მისი უფლებუნარიანობა/ქმედუნარიანობა ამ პერიოდიდან წარმოიშვა.¹⁶

აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მომსახურების ღირებულების განსაზღვრა შეკვეთის მიღების მომენტისათვის არსებული ტარიფების, მარშრუტების და ადგილების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. ფედერაციის მხრიდან, მომსახურების ფასზე შეთანხმების დროს, მოცემული კონტროლის მექანიზმი გამოყენებული არ ყოფილა. ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, ჭიდაობის ფედერაციის შემოსავალი იყო ავიაბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ავიაბილეთების ტარიფების პროცენტი და დამატებითი მოსაკრებელი. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია ბილეთების ტარიფების პროცენტების და

¹⁴ სულ: 173 ტურნირი, აქედან, 2017 წელს - 59 ტურნირი, 2018 წელს - 59 და 2019 წელს - 55 ტურნირი.

¹⁵ სან.კოდი 404926871.

¹⁶ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

დამატებითი მოსაკრებლიდან მიღებული სარგებლის სახით მიღებული შემოსავლების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, აუდიტის ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის პასუხად, ფედერაციიდან წარმოდგენილ იქნა ფედერაციასა და შპს „თაგ ჯორჯიას“ შორის კომპანიის რეგისტრაციამდე, კერძოდ, 2018 წლის 10 მაისს გაფორმებული შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით, თავდაპირველ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ამოღებულ იქნა ფედერაციის მიერ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული უფლება. არის შემთხვევები, როდესაც 2017 წელთან შედარებით, 2018-2019 წლებში არსებითად გაზრდილია ერთსა და იმავე მიმართულებებზე შეძენილი ბილეთების ღირებულებები. ამის თაობაზე აუდიტის ობიექტის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებები, კერძოდ:

ცხრილი N4. ინფორმაცია მიმართულებებისა და ბილეთების ღირებულებების შესახებ

მიმართულება	წელი	ტურისტული კომპანიის დასახელება	ბილეთის ღირებულება (ლარში)	ზრდა (%)
ქ. თბილისი - ქ. სტამბოლი	2017	შპს „ესთაი ჯორჯია“	370	227,8%
ქ. თბილისი - ქ. სტამბოლი	2018	შპს „თაგ ჯორჯია“	1 213	
ქ. თბილისი - ქ. რუსე	2017	შპს „თრეველ სტუდიო“	859	40%
ქ. თბილისი - ქ. რუსე	2018	შპს „ნიუ ლენდ დეველოპმენტი“	1 203	
ქ. თბილისი - ქ. ვარშავა	2017	შპს „პანორამა ტრეველი“	794	58,2%
ქ. თბილისი - ქ. ვარშავა	2018	შპს „თაგ ჯორჯია“	1 256	

შპს „თაგ ჯორჯიადან“ შესყიდული ავიაბილეთის ღირებულებამ თურქეთის ქალაქ ანტალიაში 2019 წლის 11-15 აპრილს გამართულ, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორის საერთაშორისო ტურნირზე ერთ სპორტსმენზე შეადგინა 1,096 ლარი, ხოლო ამავე წლის 17 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით პერიოდში თავისუფალი სტილით ახალგაზრდებს შორის საერთაშორისო ტურნირზე – 1,450 ლარი.

რიგ შემთხვევებში ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ მომსახურე კომპანიებისგან შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებები არსებითად განსხვავდება სხვა ორგანიზაციების მიერ ანალოგიურ პერიოდში ამავე მიმართულებით შესყიდული ავიაბილეთების ღირებულებებისაგან, კერძოდ:

ცხრილი N5. სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შეძენილი ბილეთები

მიმართულება	წელი	ფედერაცია	ბილეთის ღირებულება	ზრდის (%)
ქ. თბილისი - ქ. მინსკი	2017 (სექტემბერი)	ჭიდაობის ფედერაცია	1 348	45,3%
ქ. თბილისი - ქ. მინსკი	2017 (ივნისი)	ჭადრაკის ფედერაცია	737	
ქ. თბილისი - ქ. რიგა	2018 (მარტი)	ჭიდაობის ფედერაცია	1 295	9,5%
ქ. თბილისი - ქ. რიგა	2018 (აგვისტო)	ჭადრაკის ფედერაცია	1 172	
ქ. თბილისი - ქ. ბუქარესტი	2019 (აგვისტო)	ჭიდაობის ფედერაცია	1 598	42,0%
ქ. თბილისი - ქ. ბუქარესტი	2019 (ივნისი)	ჭადრაკის ფედერაცია	927	

დასკვნა

ბაზრის კვლევისა და შესაბამისად, ალტერნატიული წინადადებების განხილვის/შეფასების გარეშე მომწოდებლების შერჩევა ზრდის საბაზრო პირობებთან შეუსაბამო ფასისა და მიწოდების პირობების ჩამოყალიბების რისკებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას. საკვები დანამატების და მედიკამენტების საჭიროების განსაზღვრისა და გაცემის პროცესში კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, მაღალია მათი არამიზნობრივი გამოყენების რისკები.

**რეკომენდაცია N1
ფედერაციას:**

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიურობის პრინციპის დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ალტერნატიული შეთავაზებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, უზრუნველყოფენ საბაზრო პირობების შესაბამისი საკონტრაქტო ფასების ჩამოყალიბებას.

შესაბამისი ექსპერტული დასკვნების საფუძველზე, განისაზღვროს მედიკამენტების და საკვები დანამატების ნორმები და რელევანტური კონტროლის მექანიზმების დანერგვით უზრუნველყოფილ იქნეს მათი მიზნობრივი ხარჯვა.

დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ფაქტობრივი მომსახურების დღეებიდან გამომდინარე ანაზღაურებას. შეკრებებზე სასტუმრო მომსახურების სახით ზედმეტად გადახდილი 32,235 ლარი დაბრუნებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2.2 შრომის ანაზღაურება

კრიტერიუმი: შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი იყენებს შრომის ანაზღაურების დროის სისტემას, შრომის ანაზღაურება ხორციელდება ნამუშევარი დროის მიხედვით, რომლის დადგენის საფუძველია სამუშაო დროის აღრიცხვის მონაცემები;

წახალისების ფორმა – ერთდროული ფულადი ჯილდო გაიცემა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის.

ფაქტობრივი გარემოება: 2017-2019 წლებში მსოფლიო ჩემპიონატებსა და ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, მოჭიდავეებსა და ადმინისტრაციულ პერსონალზე პრემიებისა და ფულადი ჯილდოს სახით სულ გაცემულია 1,268,352 ლარი. აქედან, ადმინისტრაციულ პერსონალზე – 422,050 ლარი.

ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის ანაზღაურების კუთხით გამოვლინდა შემდეგი სახის შეუსაბამობები, კერძოდ:

- 1) შრომის დროითი სისტემით ანაზღაურების შემთხვევებში, ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის მექანიზმები დანერგილი არ არის (ტურნიკეტი და სხვ.);
- 2) პრემიებისა და ფულადი ჯილდოს სახით ადმინისტრაციულ პერსონალზე გამოყოფილი თანხები ფედერაციის თანამშრომლებზე განაწილებულია გაუმჭირვალედ, სათანადო დასაბუთების გარეშე.

2017-2019 წლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებით ფედერაციის ადმინისტრაციულ პერსონალზე¹⁷ გამოყოფილი საპრემიო თანხების 52-72 პროცენტი გაცემულია ფედერაციის გენერალურ მდივანზე, ადმინისტრაციის უფროსზე, ფინანსურ მრჩეველსა და ნაკრების მენეჯერზე.

ცხრილი N6. ინფორმაცია ადმინისტრაციულ პერსონალზე საპრემიო თანხების გაცემის შესახებ

პერიოდი	საპრემიო თანხა	გენ. მდივანი	ადმ. უფროსი	მენეჯერი	ფინ. მრჩეველი	სულ	%
2017 წ.	105,060	8,750	33,717	33,717		76,184	72
2018 წ.	103,870	18,750	18,750	9,620	12,500	59,620	57
2019 წ.	165,750	20,897	21,329	20,897	20,897	84,020	52

არის შემთხვევები, როდესაც სპორტსმენების მიერ წლის განმავლობაში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, პრემიები გაცემულია ფედერაციაში რამდენიმე თვის სამუშაო სტაჟის მქონე პირებზე. კერძოდ, 2018 წლის იანვარში, 2017 წლის შედეგების მიხედვით, 33,717 ლარის პრემია გაცემულია ოთხი თვის სამუშაო სტაჟის მქონე ადმინისტრაციის უფროსზე,¹⁸ 2018 წლის შედეგების

¹⁷ 2017 წელს - 19, 2018 წელს - 22 და 2019 წელს - 21 თანამშრომელი.

¹⁸ ფედერაციაში მუშაობა დაიწყო 2017 წლის 1 სექტემბრიდან.

მიხედვით კი – ამავე წლის დეკემბერში 18,750 ლარი გაცემულია ფედერაციაში ორი თვის სამუშაო სტაჟის მქონე ფედერაციის გენერალურ მდივანზე.¹⁹

დასკვნა

ბიუჯეტიდან პრემიების და ფულადი ჯილდოს სახით გამოყოფილი ფულადი თანხების ადმინისტრაციულ პერსონალზე განაწილების პროცესი არ არის გამჭვირვალე და შეიცავს არათანაბარი მიდგომის რისკებს.

რეკომენდაცია N2 ფედერაციას:

შრომის ანაზღაურების პროცესში თანაბარი მიდგომის უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს ფულადი ჯილდოს და პრემიის გაცემის წესი, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნებისათვის ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კრიტერიუმები.

2.3 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

2.3.1 საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირები

2017-2019 წლებში ქ. თბილისში ჩატარებულ ბერძნულ-რომაულსა და თავისუფალ ჭიდაობაში – ვახტანგ ბალავაძის და გივი კარტოზიას სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში²⁰ მონაწილე უცხოელი სპორტსმენებისა და მათი თანმხლები პირების რეგისტრაციის, მათ მიერ გადახდილი სასტუმრო მომსახურების ღირებულების აღრიცხვის პროცესის კონტროლის მექანიზმები შეიცავს ნაკლოვანებებს, კერძოდ:

ფედერაცია არ ფლობს ინფორმაციას სპორტსმენთა თანმხლები პირების რაოდენობის, მათ მიერ გადახდილი თანხებისა და უცხოელი სტუმრების მიერ მიღებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობის შესახებ.

2017 წელს ჩატარებულ ტურნირში მონაწილე უცხოელი სტუმრების რაოდენობა შეადგენდა 220 პირს. დღეში ერთი პირის სასტუმრო მომსახურების ღირებულების (70 ევრო) გათვალისწინებით, 3 დღის მომსახურებაზე უცხოელი სტუმრების გადასახდელი თანხა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენდა ფედერაციის შემოსავალს, შეადგენდა 46,200 ევროს ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, ანუ 124,278 ლარს. 2017 წლის 12 ივნისს ფედერაციის გენერალური მდივნის მიერ კი ფედერაციის საბანკო ანგარიშზე სასტუმრო მომსახურების ღირებულების სახით შეტანილია 117,806 ლარი, 6,472 ლარით ნაკლები. ტურნირის უცხოელ მონაწილეთა რეგისტრაციის და მათ მიერ სასტუმრო მომსახურების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები ფედერაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

2018-2019 წლებში ტურნირზე ჩამოსულ სტუმართა სასტუმრო მომსახურების მიზნით, ბაზრის კვლევის გარეშე ხელშეკრულებები გაფორმდა შპს „თაგ ჯორჯიასთან“, რომელიც დაფუძნდა ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი დღით ადრე. კომპანია ვალდებულებას კისრულობდა, უზრუნველყოფა ფედერაციის მიერ გაგზავნილი, ტურნირზე რეგისტრირებული ყველა უცხო

¹⁹ მუშაობა დაიწყო 2018 წლის ნოემბერში.

²⁰ თბილისის „გრან პრი“.

ქვეყნის მოქალაქე სასტუმრო მომსახურებით²¹ და სტუმართა ფაქტობრივი რაოდენობიდან გამომდინარე, გადაეხადა ფედერაციისათვის: 200-დან 300-მდე სტუმრის შემთხვევაში, 35,000 ლარი და 300-დან 450-მდე სტუმრის შემთხვევაში – 50,000 ლარი.²² საკომისიოს (სარგებლის) ოდენობის განსაზღვრის საფუძვლები, აუდიტორული მტკიცებულებების სახით ფედერაციამ ვერ წარმოადგინა.

2018 წელს 234 პირზე გაწეული მომსახურებიდან გამომდინარე, შპს „თაგ ჯორჯიას“ მიერ ფედერაციას ჩაერიცხა 35,000 ლარი. ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობა მიიღო 25 ქვეყნიდან 34 გუნდის 237-მა სპორტსმენმა. ფედერაციის სასარგებლოდ ანაზღაურება განხორციელდა უცხოელი მოჭიდავეების რაოდენობის საფუძველზე, მათი თანმხლები პირების (მენეჯერები, მწვრთნელები, ექიმები) რიცხოვნობის გათვალისწინების გარეშე. ადმინისტრაციის უფროსის მოხსენებითი ბარათის²³ შესაბამისად კი, ტურნირში მონაწილეობა მსოფლიოს 25 ქვეყნის 450-მა წარმომადგენელმა მიიღო. შესაბამისად, შპს „თაგ ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ფედერაციისათვის სარგებლის სახით გადახდას ექვემდებარებოდა 50.000 ლარი.²⁴

ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების ჩემპიონატებისა და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ძირითადი წესდების შესაბამისად, ღონისძიებაზე თანმხლებ ოფიციალურ პირთა (გუნდის ხელმძღვანელი, მწვრთნელი და სამედიცინო პერსონალი) რაოდენობა განისაზღვრება მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობიდან გამომდინარე და ღონისძიებაში თითოეული სტილის გუნდში 1-დან 3 სპორტსმენის მონაწილეობის შემთხვევაში, უნდა იყოს 3 პირი, 4-დან 5-მდე სპორტსმენის შემთხვევაში – 4 პირი და 6-დან 10-მდე სპორტსმენზე – 6 თანმხლები პირი. ღონისძიებაში 3-ზე მეტი სპორტსმენის მონაწილეობის შემთხვევაში (ყველა სტილში ერთად), აუცილებელია გუნდს ახლდეს მსაჯი. გარდა ამისა, ფედერაციებს უფლება აქვთ ღონისძიებაზე დაარეგისტრირონ, მაქსიმუმ, 5 ოფიციალური წარმომადგენელი.

2019 წელს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, მხოლოდ 132 სტუმრის არსებობის გამო, კომპანია განთავისუფლებულ იქნა ნაკისრი ვალდებულებებისაგან. ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების მონაცემების შესაბამისად, აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა მიიღო 17 ქვეყნის 21 გუნდის 121 მოჭიდავემ. ამის მიხედვით, გუნდების მენეჯერების, მწვრთნელების, ექიმების და სხვა თანმხლები პირების რაოდენობა უნდა ყოფილიყო მხოლოდ 11, რაც არ შეესაბამება ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების ჩემპიონატებისა და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ძირითადი წესდების მოთხოვნებს.²⁵

²¹ ნომრით და სასტუმროში სამჯერადი კვებით, ფედერაციის მიერ დამტკიცებული მენიუს შესაბამისად.

²² 200-ზე ნაკლები ფიზიკური პირის გაგზავნის შემთხვევაში, თანხების გადახდის ვალდებულება გათვალისწინებული არ იყო.

²³ 2018 წლის 14 აგვისტო.

²⁴ ნაცვლად გადახდილი 35,000 ლარისა.

²⁵ წესდების შესაბამისად, ღონისძიებაზე თანმხლებ ოფიციალურ პირთა (გუნდის ხელმძღვანელი, მწვრთნელი და სამედიცინო პერსონალი) რაოდენობა განისაზღვრება მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობიდან გამომდინარე და ღონისძიებაში თითოეული სტილის გუნდში 1-დან 3 სპორტსმენის მონაწილეობის შემთხვევაში, უნდა იყოს 3 პირი, 4-დან 5-მდე სპორტსმენის - 4 პირი და 6-დან 10-მდე სპორტსმენზე - 6 თანმხლები პირი. ღონისძიებაში 3-ზე მეტი სპორტსმენის მონაწილეობის შემთხვევაში (ყველა სტილში ერთად), აუცილებელია, გუნდს ახლდეს მსაჯი. გარდა ამისა, ფედერაციებს უფლება აქვთ ღონისძიებაზე დაარეგისტრირონ, მაქსიმუმ, 5 ოფიციალური წარმომადგენელი.

2.3.2 საწესდებო მოთხოვნები	წესდების თანახმად, ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭო ფედერაციის მაკონტროლებელ ორგანოა, რომელიც: ამოწმებს ფედერაციის საფინანსო სამეურნეო საქმიანობას თვითონ ან მოწვეული აუდიტორის საშუალებით და სრულ ფინანსურ ანგარიშს წარუდგენს ფედერაციის ყრილობას. ყრილობებს შორის ფედერაციის საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს ფედერაციის პრეზიდიუმი. შესამოწმებელ პერიოდში სამეთვალყურეო საბჭოს ან მის მიერ მოწვეული აუდიტორის მიერ არ ჩატარებულა ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება და ფინანსური ანგარიში ყრილობისათვის არ არის წარდგენილი, პრეზიდიუმის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებიდან არ განუსაზღვრავთ ფედერაციის საქმიანობის პრინციპები და მიმართულებების მიხედვით ფედერაციის კომისიები არ შექმნილა. წესდების შესაბამისად, 2017-2019 წლებში არ არის დამტკიცებული ფედერაციაში დასაქმებულთა სამტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი.
2.3.3 აქტივების მართვა - აღრიცხვა	2017-2019 წლებში ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციები ჩატარებულია არასრულყოფილად, კერძოდ, მომზადებულია მხოლოდ მიღებულ მატერიალურ ფასეულობათა აღწერები სააღრიცხვო მონაცემებთან შედარების გარეშე. 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებულ (შესყიდული, უსასყიდლოდ გადმოცემული) მატერიალურ ფასეულობებზე, რომლებიც არ არის ასახული სააღრიცხვო რეგისტრებში, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებულია მხოლოდ ფაქტობრივი აღწერა. ასეთი მატერიალური ფასეულობების რაოდენობა შეადგენს 340 ერთეულს²⁶ და დღემდე ისინი არ შეფასებულია და ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.
დასკვნა	სუსტი კონტროლის გარემო და ცალკეულ პროცესში კონტროლის მექანიზმების არარსებობა ზრდის ფულადი სახსრების და მატერიალური ქონების არამიზნობრივი და არაფექტიანი გამოყენების რისკებს.
რეკომენდაცია N3 ფედერაციას:	შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირების ორგანიზების პირობებში, უცხოელი სტუმრების რეგისტრაციას, სარგებლის სახით მიღებული შემოსავლების სისრულეს და სასტუმრო მომსახურების ხარისხის შესაბამისობას.

²⁶ სკამები, მაგიდები, ტუმბოები, კარადები, ვენტილატორები, სავარჯიშო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, საჭიდაო ხალიჩები, კონდიციონერები, ტელევიზორები, მაცივრები, გამათბობლები, ავტომატური და სხვ.

რეკომენდაცია N4
ფედერაციას:

კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით განხორციელდეს აქტივების ინვენტარიზაცია და მისი შედეგების შეფასების საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნეს მათი ეფექტიანი მართვა.

აუდიტორები


ხელმოწერა

მურმან დარაბელიძე
მთავარი აუდიტორი

მამუკა ჯოხაძე
წამყვანი აუდიტორი

ნინო ბუხნიკაშვილი
უფროსი აუდიტორი





ვებგვერდი და სოციალური
მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE